1990 წლის უზენაესი საბჭოს არჩევნების გარშემო არსებული დისიდენტური დაპირისპირება და პოლემიკა

მარიამ გოგოლაური

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: თანამედროვე საქართველოს ისტორია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბექა კობახიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ გოგოლაური

2025

აბსტრაქტი

პოლიტიკური დაპირისპირებებითა და საზოგადოების ფრაგმენტაციით ხასიათდება საბჭოთა საქართველოსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის გარდამავალი პერიოდი. 1990 წლის უზენაესი საბჭოს არჩევნები, როგორც ამ გადასვლის სამართლებრივი და სიმბოლური განხორციელება, უმწვავესი წინააღმდეგობების პარალელურად მომზადდა და ჩატარდა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის მებრძოლი ეროვნული მოძრაობის შემადგენელ ჯგუფებს შორის კონფრონტაცია კომპლექსური ხასიათის იყო და ეტაპობრივად უფრო და უფრო მძიმდებოდა. დამოუკიდებლობის გამოცხადებაც კი, რომელიც მთელი მოძრაობის უმთავრესი გაცხადებული მიზანი იყო, არ აღმოჩნდა საკმარისი პოლიტიკური პროცესის ურთიერთთანამშრომლობის რეჟიმში გადასაყვანად. საბოლოოდ კი ეს დაპირისპირება ხელისუფლების გადატრიალებით დასრულდა, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქვეყნის მომავალი.

წინამდებარე კვლევის მიზანია აღნიშნული დაპირისპირების იმ მიზეზების გაანალიზება, რამაც ქვეყნის განვითარებაზე დესტრუქციული გავლენა იქონია. დამუშავებული მასალისა და შერჩეული საკვლევი მიდგომების საფუძველზე გამოიკვეთა პიროვნების როლი მთელ ამ პროცესებში. კვლევის შედეგების მიხედვით, შეურიგებელ მოწინააღმდეგეთა პერსონალური მახასიათებლები, მათი ტრავმული გამოცდილებები და პირადი მოტივები წარმოადგენდა აღნიშნული კონფრონტაციის მთავარ განმსაზღვრელს.

სისტემური რღვევებისა და სუსტი სოციალური სტრუქტურების პირობებში, ინდივიდების გავლენის მასშტაბი პოლიტიკურ პროცესებზე ბუნებრივად იზრდება, თუმცა ამ მიმართულებით დეტალური კვლევა, სრული სურათის უკეთ დანახვის გარდა, მსგავსი შემთხვევების პრევენციის პერსპექტივასაც ხსნის.

Abstract

The transitional period from the Georgian Soviet Socialist Republic to independent Georgia was marked by profound political dissent and social fragmentation. The 1990 Supreme Soviet elections —both a legal and symbolic turning point— took place under conditions of intense confrontation. Divisions within the National Movement, a broad coalition advocating for independence, deepened over time, undermining hopes for unity even around their shared central goal: the declaration of independence. This internal fragmentation ultimately culminated in a violent coup d'état, which shaped Georgia's political trajectory for at least the following decade.

This thesis seeks to analyze the underlying causes of this destructive political crisis. Based on a range of primary sources and scholarly approaches, it emphasizes the pivotal role of individual agency. The findings suggest that the personal characteristics, psychological traumas, and individual motivations of key political figures were central to the escalation of this conflict.

In contexts of systemic collapse and institutional weakness, the influence of individual actors on the political process becomes significantly intensified. Thus, a close examination of these personal dynamics not only enhances our understanding of Georgia's transitional crisis but also contributes to broader efforts at identifying early warning signs and preventing similar outcomes in future.